ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძვლები და თანამედროვე სასამართლო პრაქტიკა

სოფიკო გულედანი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ილია წიკლაური

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სოფიკო გულედანი

25.06.2024

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ეხება ადმისნიტარციული ორგანოს მიმართ ზიანის ანაზღაურების უფლების დაცვის სამართლებრივი მექანიზმების ეფექტიანობის დადგენას.ნაშრომში მიმოხილულია საქართველოს კანონმდებლობა, ის სამართლებრივი ფორმები, რაც დაზარალებულს უფლებით სარგებლობისას გააჩნია. სასამართლო პრაქტიკის, სტატისტიკური მონაცემებისა და საკვლევ საკითხთან დაკავშირებული მოსაზრებების ანალიზის გზით გამოკვეთილია კონკრეტული ხარვეზები და შემოთავაზებულია მათი დახვეწის პერსპექტივები.

ნაშრომში გაეცა პასუხი კითხვებს: ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ზიანის ანაზღაურების რა სამართლებრივი საფუძველი არსებობს და რამდენად შეესაბამება კანონმდებლობა მას? რამდენად ასრულებს ადმინისტრაციული საქმის წარმოება მის არსში მოცემულ ფუნქციას? რამდენად ავსებს ადმინსიტრაციული ორგანოს მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებით სარგებლობას კანონმდებლობაში მოცემული ნორმები ერთმანეთს?

ნაშრომში აღმოჩენილი ხარვეზების გადაჭრისათვის შემოთავაზებულია ორი გზა. პირველი ეხება კონკრეტული საკანონმდებლო ცვლილების განხორციელებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსში,მეორე კი საჩივარის ინსტიტუტის გაძლიერებას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძვლები, საჩივარის ინსტიტუტი ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას, გაჭიანურებული ვადები ადმინისტრაციული სამართალწარმოებაში, სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის კოლიზია.

Abstract

The present paper is about determining the effectiveness of the legal mechanisms for protecting the right to compensation for damages against the administrative body. Through the analysis of judicial practice, statistical data and opinions related to the research issue, specific shortcomings are highlighted and prospects for their improvement are proposed.

The paper answered the following questions: What is the legal basis for compensation of damages by an administrative body and to what extent does the legislation correspond to it?

Two ways are proposed to solve the shortcomings found in the paper. The first concerns the implementation of a specific legislative change in the Civil Code of Georgia, and the second concerns the strengthening of the complaint institution.

Key search words: legal grounds for compensation of damages by an administrative body, institution of appeal in administrative proceedings, protracted deadlines in administrative proceedings, conflict of Article 1005 of the Civil Code.